



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

უნდა გააკეთოს თუ არა საქართველომ განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე 2024 წელს?

ცოტა ხნის წინ, მმართველმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ გააჟღერა, რომ 2024 წლისთვის საქართველო ევროკავშირის წევრობის ოფიციალური განაცხადის გაკეთებას გეგმავს. აღნიშნული გადაწყვეტილება საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოცხადდა და მოგვიანებით საპარლამენტო რეზოლუციითაც დადასტურდა. ევროკავშირის წევრობის ოფიციალური განაცხადის კონკრეტული თარიღის განსაზღვრა ამბიციურ ნაბიჯს წარმოადგენს, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ ბოლოდროინდელ გაფართოების პოლიტიკით „გადაღლას“ ევროკავშირში. შედეგად, აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოში განხილვის საგანი გახდა, კითხვები გაჩნდა იმის შესახებ, იყო თუ არა ინიციატივა დროული და რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი წევრობის განაცხადს მხარს არ დაუჭერს.

საკითხის სენსიტიურობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მხრიდან ევროკავშირის წევრობის ოფიციალური განაცხადის შესახებ გაჟღერებულ გეგმას, ფაქტობრივად, არ მოჰყოლია რაიმე სახის რეაქცია ბრიუსელის მხრიდან. თუმცა, ოფიციალური განაცხადის მომზადებამ, პოტენციურად, შესაძლოა, ბიძგი მისცეს ქვეყნის შიგნით რეფორმების განხორციელებას და ხელი შეუწყოს საქართველოს წინსვლას ევროინტეგრაციის გზაზე.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) თხოვნით, შერჩეულმა ექსპერტებმა საფრანგეთიდან, გერმანიიდან და შვედეთიდან შემდეგ სამ შეკითხვას უპასუხეს:

- ევროკავშირის წინაშე არსებული ბოლოდროინდელი გამოწვევების გათვალისწინებით, რა შეიძლება იყოს საქართველოს ევროპულ ამბიციებთან, კერძოდ, 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთების ინიციატივასთან დაკავშირებული რისკები და მოსალოდნელი სარგებელი?
- თუ საქართველო გადაწყვეტს ევროკავშირის წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთებას, უმჯობესია იქნება ამის გაკეთება დამოუკიდებლად თუ უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად?
- როგორ უნდა გაუმკლავდეს საქართველოს მთავრობა ევროკავშირის სკეპტიციზმს ასოცირებული ქვეყნების ევროპული მისწრაფებების მიმართ?



პროფ. ტანია ბიორცელი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის (გერმანია), ოტო-სურის პოლიტიკის მეცნიერების ინსტიტუტის ევროპული ინტეგრაციის მიმართულების ხელმძღვანელი

ამჟამად, ევროკავშირის ყურადღება მიმართულია დასავლეთ ბალკანეთის ოთხი სახელმწიფოს მიმართ, რომლებიც გაერთიანების წევრობისკენ ისწრაფვიან. მიუხედავად ამისა, ევროკავშირს არ შეუძლია პირდაპირი უარის თქმა საქართველოს წევრობის განაცხადზე და საჭირო იქნება მისი გადაწყვეტილების დასაბუთება წევრობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში, ბრიუსელს მოუწევს, დაასაბუთოს, რომ საქართველოს, ერთი მხრივ, არ გააჩნია

სტაბილური ინსტიტუტები დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობების დაცვის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, არ აქვს ფუნქციური საბაზრო ეკონომიკა და შესაძლებლობა, გაუმკლავდეს ევროკავშირში არსებულ კონკურენციასა და საბაზრო ქსელებს. ეს, შესაძლოა, ასეთი მარტივი არ იყოს, თუ მხედველობაში მივიღებთ დასავლეთ ბალკანეთის ზოგიერთ კანდიდატ სახელმწიფოში არსებულ ვითარებას. ასევე, ევროკავშირს გამოხატული აქვს მკაფიო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებაში არ მიიღებს ახალ წევრებს მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემებით. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლისთვის დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრება ნაკლებად სავარაუდოა, გაერთიანებაში მათი მიღებით ევროკავშირის წევრების რიცხვი 30-ს გადააჭარბებს. ამან, შესაძლოა, ევროკავშირის მხრიდან კოპენჰაგენის „მეოთხე“ კრიტერიუმის გამოყენება გამოიწვიოს, რომელიც ახალი წევრების მიღების შესაძლებლობას შეეხება.

ზემოთ მოყვანილი არცერთი საკითხი, თავისთავად, არ გამორიცხავს ევროკავშირში საქართველოს გაწევრებას. საქართველოს წევრობის ოფიციალურ განაცხადზე პირდაპირი უარის თქმის ნაცვლად, ბრიუსელმა, შესაძლოა, საკითხის გაჭიანურების გზას მიმართოს, როგორც ეს 1989 წელს თურქეთთან მიმართებით გააკეთა. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა თურქეთის საბოლოო გაწევრებას ევროკავშირში, თუმცა საკითხი მომავლისთვის გადადო, მას შემდეგ, რაც თურქეთი მიაღწევდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროგრესს, გააუმჯობესებდა ურთიერთობებს საბერძნეთთან და მოაგვარებდა კვიპროსის კონფლიქტს. ათი წლის შემდეგ, ჰელსინკის ევროპულმა საბჭომ თურქეთი კანდიდატად სცნო.

დოქტ. ლორ დელკური, სორბონ ნუველის უნივერსიტეტის (პარიზი) ასოცირებული პროფესორი



თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის წინაშე მდგარი ბოლოდროინდელი გამოწვევების მასშტაბსა და ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს სკეპტიკურ დამოკიდებულებას გაფართოების მიმართ, ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ საქართველომ უახლოესი წლების განმავლობაში კანდიდატი სახელმწიფოს სტატუსი მიიღოს. ნაადრევი განაცხადის მიღების შემთხვევაში, ევროკავშირი, სავარაუდოდ, მოუწოდებს საქართველოს, სრულად განახორციელოს ასოცირების შესახებ შეთანხმება შემდგომი ნაბიჯების განხილვის პროცესის დაწყებამდე. თუმცა, ევროკავშირის პასუხისგან

დამოუკიდებლად, გაერთიანების წევრობის ოფიციალურმა განაცხადმა, ასევე, შესაძლოა, გაზარდოს ევროკავშირის ორბიტაზე საქართველოს ხილვადობა.

ისტორია გვაჩვენებს, რომ ევროკავშირი, როგორც წესი (თუმცა არა სისტემატიურად), რამდენიმე ქვეყნის ერთად მიღების გზით ფართოვდებოდა. ერთობლივი განაცხადი კანდიდატ სახელმწიფოებს გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას აძლევს და, ასევე, უფრო მეტად ამყარებს (თუნდაც მცირედით) მათ პოზიციას ევროკავშირთან მიმართებით. ბრიუსელის პერსპექტივიდან, ჯგუფური აპლიკაციები გაერთიანებას „ხარვეზების გამოვლენისა და მათზე მითითების“ სტრატეგიის გამოყენების საშუალებას აძლევს, რაც დამატებით ბერკეტს ქმნის რეფორმების წასახალისებლად ისეთ ქვეყნებში, რომლებიც სხვა კანდიდატებს ჩამორჩებიან.

თუმცა, სამი ასოცირებული სახელმწიფოს შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ ქვეყნის ზომისა და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, უკრაინის წევრობის განაცხადი ევროკავშირის გარკვეული გამოწვევების წინაშე დააყენებს. საქართველომ (მოლდოვასთან ერთად) აღნიშნული ფაქტორი მხედველობაში უნდა მიიღოს.

[რაც შეეხება, ევროკავშირის სკეპტიციზმთან გამკლავებას,] ვფიქრობ, რომ გამოსავალი ორივე მხარის წინაშე არსებული გამოწვევების გაგებასა და ურთიერთგაზიარებაშია. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებმა გააცნობიერონ ევროკავშირში არსებული ვითარება და ეცადონ, შეინარჩუნონ რეალისტური მოლოდინები. ხოლო, მეორე მხრივ, მათმა მთავრობებმა უნდა სცადონ ევროკავშირის ცნობიერების ამაღლება და სენსიტიურობის გაზრდა იმ საშინაო და საგარეო გამოწვევების მიმართ, რომლებსაც ისინი ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე აწყდებიან.



რიკარდ ჯოზვიაკი, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების ევროპის მიმართულების რედაქტორი, პრაღა

მე მხარს ვუჭერ 2024 წლისთვის საქართველოს მთავრობის მიერ ევროკავშირის წევრობის ოფიციალური განაცხადის გაკეთებას. ეს თამამი ნაბიჯია, რომელიც, სავარაუდოდ, იმედგაცრუებით დასრულდება, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ თბილისს სჭირდება პროგრესი ევროკავშირთან ურთიერთობაში და რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ქვეყნისთვის გარკვეულ შემზღვეველ ფაქტორად იქცა. ამ ნაბიჯს შეუძლია თქვენი ევროპული მისწრაფებების გამოცოცხლება, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს უკრაინასა და მოლდოვასთან შეთანხმებით. ცალკე მდგომი საქართველოს წევრობის განაცხადი ევროპული კომისიის საწყობში დარჩება და დავიწყებას მიეცემა, როგორც ეს ბოსნიის შემთხვევაში მოხდა. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ წევრობის განაცხადს სხვა პარტიებს შორისაც ჰქონდეს მხარდაჭერა, პოლიტიკოსებმა საქართველოს მოქალაქეებს უნდა აუხსნან, რომ ეს პროცესი წარმოადგენს მართონს კონკრეტული ფინიშის ხაზის გარეშე, ხოლო დიპლომატებმა გაფართოების მიმართ სკეპტიკურ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში დამატებით უნდა იმუშაონ პოლიტიკოსებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასარწმუნებლად, რომ საქართველოს ევროკავშირში

გაწევრება არ გულისხმობს გაერთიანებაში კრიმინალის, პოლიტიკური არასტაბილურობისა და არასწორი ეკონომიკური მართვის იმპორტს.

ბუნებრივია, თბილისი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ ევროკავშირის ბევრი სახელმწიფო, შესაძლოა, ღიადაც, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ დიპლომატიური არხებით, შეეცდება აზრი შეაცვლივინოს საქართველოს წევრობის განაცხადის გაკეთებასთან დაკავშირებით. შედეგად, თქვენ მზად უნდა იყოთ პროცესის გაჭიანურებისთვის და საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირით იმედგაცრუებისთვის.

მაგრამ თბილისს ერთი რამ უნდა ახსოვდეს: მისი გზა ევროკავშირის წევრობისკენ მოსკოვზე გადის. მანამ, სანამ კრემლში საბჭოთა რომანტიულ-ნაციონალისტური მმართველობაა, რუსეთი ხელს შეუშლის თქვენს სწრაფვას ბრიუსელისკენ.

**დოქტ. ქეთევან ბოლქვაძე, ლონდონის უნივერსიტეტის (შვედეთი)
პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული უფროსი ლექტორი**



ექვგარეშეა, რომ საქართველოს გზა განვითარებისა და კეთილდღეობისკენ ევროკავშირში შემდგომ ინტეგრაციაზე გადის. თუმცა, მნიშვნელოვანია ჩვენს თავს დავუსვათ შეკითხვა: რას გულისხმობს რეალურად ევროკავშირში ინტეგრაცია? ქართულ პოლიტიკურ ელიტებს შორის არსებობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროკავშირის წევრობისთვის მოსამზადებელ ეტაპად წარმოჩენის ტენდენცია. თუმცა, აღმოსავლეთ პარტნიორობა გაერთიანების წევრობას არ გულისხმობს და სინამდვილეში, სწორედ წევრობის ალტერნატივად არის მოაზრებული. აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზანია ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლების ევროპული მმართველობის ნორმებთან დაახლოება - როგორც კანონის უზენაესობა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, უმცირესობების დაცვა - და შედეგად, ევროკავშირის სოციალური მოდელის რეგიონზე გავრცელება.

ამ დროისათვის, საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მიმდინარე ტემპი არადამაკმაყოფილებელია და, როგორც რამდენიმე ევროპარლამენტარმა აღნიშნა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრების ამბიციას ასეთივე ამბიციური რეფორმები არ ახლავს თან. ბოლო პერიოდში, სასამართლო ხელისუფლების პოლიტიზირების ზრდამ და საარჩევნო დარღვევებმა კიდევ უფრო გაამყარა არსებული დომინანტური პარტიული სისტემა. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ევროკავშირი, რომელიც ისედაც დგას კანონის უზენაესობის პრობლემის წინაშე უნგრეთსა და პოლონეთში, ბევრად უფრო ფრთხილია გაერთიანებაში ისეთი წევრების მიღების მიმართ, რომლებიც არ იცავენ კოპენჰაგენის კრიტერიუმების ძირეულ პრინციპებს. საქართველოს ჯერ კიდევ ბოლომდე არ აუთვისებია ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში შემოთავაზებული შესაძლებლობები, თუმცა ხელშეკრულების რამდენიმე მიზნის განხორციელებას პროცესში ხელი შეეშალა, მათ შორის იმის გამო, თუ როგორ ართმევს თავს ხელისუფლება საინვესტიციო პოლიტიკას („კავკასუს ონლაინი“, ანაკლიის პორტი). აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოები სერიოზულად უნდა მოეკიდონ პოლიტიზირებული ინსტიტუტების რეფორმირების საკითხს, რათა ბრიუსელი დაარწმუნონ, რომ ისინი გაფართოებით ისედაც გადაღლილი ევროკავშირისთვის შენაძენი იქნებიან და არა დამატებითი ტვირთი.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



Norwegian Institute
of International
Affairs

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია გამოცემულია კვლევითი პროექტის „კომპეტენციის გაღრმავება თანამშრომლობით: საქართველოს სტრატეგიული გზა ევროპისკენ“ (GEOPATH) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ნორვეგიის კვლევითი საბჭოს მიერ.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„უნდა გააკეთოს თუ არა საქართველომ განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე 2024 წელს?“, ექსპერტთა კომენტარი #15, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თებერვალი, 2021.

© Georgian Institute of Politics, 2021

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

For more information, please visit

www.gip.ge